პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი 3 კაპ.

# კომუნისტი

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილებების ყოველ დღიური ორგანო

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—50 კ., 3 თვით—1 მ. 50.
6 თვით—2 მ. 50 კ. 12 თვით—5 მ.
წითელ არმიელებისათვის კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—40 კ. 3 თვით—1 მ. 10 კ.
6 თვით—2 მ. ერთი წლით 3 მან. 80 კ.
განცხ. ფ სი 1 გვ —80 კ. სტრ. მე 4-ზე—40 კ.

107 (1102) | სამშაბათი, 18 მაისი 1926 წ. | 107 (1102)

## წითელ არმიელო, მხნედ და ენერგიულად მოეკიდე საზაფხულო სწავლებას.

საბანაკო ცხოვრება და მუშაობა უკვე დაიწყო. წითელი ჯარი შეუდგა საზაფხულო სწავლებას. გაშლილ მინდორში ახალგაზრდა წითელ მებრძოლებმა უნდა განვლონ სამხედრო და პოლიტიკური აღზრდის განსაზღვრული კურსი, საუკეთესოთ უნდა დახელოვნდენ სამხედრო საქმეში.

ამ კურსის ნაყოფიერად და წარმატებით განვლა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველი მებრძოლი ენერგიულად და მხნედ მოეკიდება თავის ვალდებულებების შესრულებას, მთელ თავის ძალას და ღონეს მოახმარს სამხედრო და პოლიტიკურ სწავლებას. არც ერთი უმნიშვნელო დროც კი, არც ერთი წუთი წითელ არმიელმა არ უნდა გააცდინოს. მთელი დრო უნდა მოხმარდეს სამხედრო ცოდნის გაფართოვებისა და მის გაღრმავების საქმეს.

ნურც ერთი წითელი მოლაშქრე ნუ დაივიწყებს იმ ძირითად დებულებას, რომ სამხედრო სამსახურის ვადა არც ისე დიდია; მთელი ამ ვადის განმავლობაში მან იმდენი ცოდნა უნდა შეიძინოს, რომ საჭირო დროს ღირსეულად შეეძლოს მუშების და გლეხების თავისუფლების დაცვა.

ამიტომაც მტკიცე რევოლიუციონური დისციპლინა, თავდადებული, ბეჯითი სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა, ყველა ბრძანებების თავის დროზე, სისწორით შესრულება—აი რა მოეთხოვება წითელ ჯარისკაცს მუდამ და ყოველთვის და მით უმეტეს ბანაკობის დროს.

სამაგალითო წითელი მეომარი—აი რა უნდა დაისახოს ამოცანად თავითვე თითეულმა წითელარმიელმა. მაშინ ის უფრო მეტად დაუახლოვდება მოსახლეობას, მშრომელნი მასში დაინახავენ თავის ინტერესების ღირსეულ დამცველს, გაძლიერდება და განმტკიცდება წითელი ჯარის რიგებიც.

ახალი ენერგიით, გაასკეცებული ძალით შეუდგეთ საზაფხულო სწავლებას. რაც შეიძლება მეტის წარმატებით და ნაყოფიერებით ჩავატაროთ ის და მით კიდევ უფრო მაღლა ავსწიოთ წითელი ჯარის საბრძოლო უნარი.

## პილსუდსკის მთავრობა

სამხედრო შეტაკებები პოლონეთში მარშალ პილსუდსკის გამარჯვებით დასრულდა. ვიტოსის ფაშისტური მთავრობა გადადგა და შესდგა ახალი, მემარცხენე პარტიებისაგან.

როგორია ეს ახალი მთავრობა, რას მოუტანს ის პოლონეთის მუშებს და გლეხებს, ეროვნულ უმცირესობებს? გააუმჯობესებს თუ არა პოლონეთის სამეურნეო მდგომარეობას?

ერთი სიტყვით შეასრულებს თუ არა ყველა იმ დაპირებებს მარშალი პილსუდსკი, რომლებიც მან აღუთქვა პოლონეთის ხალხს ძალაუფლების ხელში ჩაგდების მომენტამდე?

ამაზედ პასუხის გაცემა არც ისე ძნელია. ლამაზი ლოზუნგები პილსუდსკის სჭირდებოდა მასების მოსატყუილებლად ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. არავითარ კარგს პილსუდსკი არ უქადის პოლონეთის მშრომელთა მასებს და ეროვნულ უმცირესობებს. პანი პილსუდსკი პოლონელ გლეხს არ მისცემს მიწას, არ გაანთავისუფლებს მემამულის ბატონობისაგან, ხოლო პოლონელი მუშა კი ისევ კაპიტალის მძიმე ბატონობის ქვეშ დარჩება.

პილსუდსკი ვერც სამეურნეო კრიზისისაგან იხსნის პოლონეთს, ვინაიდან მან ან უნდა ალაგმოს კაპიტალისტები და მემამულეები, ან მიყიდოს პოლონეთი უცხოეთის იმპერიალიზმს.

პირველ გზას ის არ დაადგება, როგორც ბურჟუაზიის ერთგული მონა, ხოლო მეორე გზა საძნელო არის, ვინაიდან იმპერიალისტები იქ ფულს არ ფლანგვენ, სადაც ავანტიურისტულ გადატრიალებებს ხშირად აქვს ადგილი.

რომ ყოველივე ეს ასე არის—მტკიცდება შემდეგით. პოლონეთის კომუნისტურ პარტიამ მიმართა პოლონეთის სოციალისტურ პარტიასა და სხვა წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს, რათა შექმნან ერთი მთლიანი მუშურ-გლეხური ბლოკი ვიტოსის ფაშისტური მთავრობის წინააღმდეგ. მენშევიკებმა უარი სთქვეს ამ წინადადებაზე.

რატომ? იმიტომ, რომ ისინი სრულიად არ აპირებენ მუშურ გლეხური ხელისუფლების დაწესებას პოლონეთში, გლეხებისთვის მიწების მიცემას, ეროვნულ უმცირესობებისთვის თავისუფლების მინიჭებას და მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის დამხობას.

პილსუდსკის გადატრიალება—ეს ზედმეტი გაკვეთილია პოლონეთის მუშებისა და გლეხებისთვის იმ მხრივ, რომ არავითარ დაპირებებს სოციალ-გამყიდველებისა არავითარი ფასი არაქვს, გარდა მოტყუილებისა და რომ ერთად ერთი გზა ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობისაგან ხსნის არის პროლეტარული რევოლიუცია კომპარტიის მეთაურობით. მხოლოდ ეს გზა მიანიჭებს პოლონეთის მშრომელ ხალხს საბოლოო გამარჯვებას.

—ე.

# ახალი რადიო ამბები

## გაფიცვის მოხსნის შემდეგ ინგლისში

### მუშები მოითხოვენ გამყიდველ ბელადების გადადგომას

#### გრძელდება ბრძოლა საზარალო შეთანხმების წინააღმდეგ

### მოითხოვენ მოღალატე ბელადების გადადგომას

ორმა მსხვილ ორგანიზაციამ—რკინისგზელებისა და ანგარანების მოსამსახურეების, მოითხოვეს კავშირის მთავარი მდივნის—ტომასის და მისი თანაშემწის—უოკდენის გადადგომა რკინისგზის კომპანიებთან დამამცირებელ შეთანხმების დადებისთვის.

#### ძირს ტომასი

გლაზგოში გაიმართა რკინისგზელთა დემონსტრაცია, რომელთაც მიჰქონდათ დროშები წარწერით: „ძირს ტომასი“.

### ხე-ტყის მუშები მთავარ საბჭოს წინააღმდეგ

ინგლისის ხე-ტყის მუშათა კავშირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სასტიკად ჰგმობს მთავარ საბჭოს მოქმედებას, რომელმაც შესწყვიტა საერთო გაფიცვა ისე, რომ არავითარი უზრუნველყოფა არ მიუცია სამთა-მადნო მუშებისათვის.

კავშირი მოითხოვს ყველა პროფკავშირთა აღმასკომების კონფერენციის მოწვევას მდგომარეობის განსახილველად და საგანგებო ზომების გამოსამუშავებლად.

### მაღაროს მუშათა დელეგატების კონფერენცია

სამთა-მადნო მუშების დელეგატთა კონფერენციამ მიანდო გაერთიანების აღმასკომს—გამოარკვიოს მთავრობის წინადადებების ზოგიერთი მუხლი სამუშაო ხელფასის დაკლების შესახებ და სხვა.

კონფერენციამ დაადგინა მადლობა გამოუცხადოს ყველა მუშებს დახმარებისთვის, რომელიც გაუწიეს სამთა-მადნო მუშებს და აღუთქვა დახმარება სხვა კავშირებს, თუ რომ მათ წინააღმდეგ მიღებულ იქნება საზარალო ზომები; ამასთან ერთად კონფერენციამ დაადგინა, თუ რომ ისინი საჭიროდ დაინახავენ,—არ განაახლებენ მუშაობას, სანამ არ მიაღწევენ დამაკმაყოფილებელ შედეგებს.

### კუკის დეპეშა სამთა-მადნო მუშათა საკავშირო ყრილობას

ინგლისის სამთა-მადნო მუშათა გაერთიანების მდივანმა კუკმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში სამთა-მადნო მუშათა კონფერენციას: „ინგლისის სამთა-მადნო მუშათა სახელით გადმოგცემთ ძმურ სალამს.

ინგლისის მუშებმა დიდი დახმარება ჰპოვეს სხვა ქვეყნების მუშების მხრივ.

სამთა-მადნო მუშები ღრმა მადლობას გწირავთ ნივთიერ დახმარებისთვის. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების მშრომელები რჩებიან ჩვენ მოკავშირეებად. ეს გვაიმედებს ჩვენ-ჩვენს ბრძოლაში“.

## პოლონეთში შესდგა ახალი მთავრობა

### მთელს პოლონეთში სამხედრო წესებია გამოცხადებული

#### ვარშავაში ბრძოლის დროს მოკლულ იქნა 36, დაიჭრა 560 კაცი

### მუშები ადგენენ მილიციას პილსუდსკის ჯარებზე დასახმარებლად

#### პოლონეთის მენშევიკებმა უარი განაცხადეს ერთიან ფრონტზე

### პოლონეთის ახალი მთავრობა

პრემიერ-მინისტრად დანიშნულია ეროვნულ მუშათა პარტიის ბელადი ბარტელი, საგარეო საქმეთა მინისტრად—ყოფილი ელჩი იტალიაში—ზალესკი, შინაგან საქმეთა მინისტრად—ვოლინის გუბერნატორი მლოძიევსკი და სამხედრო მინისტრად—პილსუდსკი.

მთავრობა დაეყრდნობა ძველ კონსტიტუციას და დარჩება ძალა-უფლების სათავეში ახალი პრეზიდენტის არჩევამდი.

ახალი მთავრობა ცნობილ იქნა უცხო სახელმწიფოების მიერ.

### მენშევიკები ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ

პოლონეთის კომუნისტებმა წინადადება მისცეს პოლონეთის სხვა და სხვა პარტიებს შეადგინონ მუშათა და გლეხთა ერთიანი ფრონტი და დაეხმარონ პილსუდსკის ჯარებს.

პოლონეთის მენშევიკებმა უარი განაცხადეს ერთიან ფრონტზე, დანარჩენებისგან ჯერ პასუხი არ მიუღიათ.

#### პოლონეთის პრეზიდენტი და მთავრობა გადადგა.

ბელვედერის ჩაბარების შემდეგ პრეზიდენტ ვოიცეხოვსკიმ და პრეიმერ მინისტრ ვიტოსმა დაიხიეს სოფელ ავგუსტოვკაში. აქედან ვოიცეხოვსკიმ წარმომადგენლები გაუგზავნა პილსუდსკის მოლაპარაკების დაწყებისათვის.

ვოიცეხოვსკიმ შემდეგ უარი განაცხადა პრეზიდენტის თანამდებობაზე. მასთან გადადგა ვიტოსის მთავრობაც.

#### ჭეშმარიტ დემოკრატიზმის საფუძველზე.

პილსუდსკი ამჟამად მუშაობს მთავრობის შედგენის გარშემო. მან დაიბარა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები, რომლებსაც განუცხადა, რომ ის დაიცავს უმცირესობის უფლებებს. ჭეშმარიტ დემოკრატიზმის საფუძველზე.

### სიკორსკი დამორჩილდა

გენერალ სიკორსკიმ სცნო პილსუდსკის ძალა-უფლება და გადასცა მას ლვოვის გარნიზონი.

მთელს პოლონეთში ამჟამად შედარებით სიწყნარეა. ტელეგრაფი ნორმალურად მუშაობს. ბრძოლების დროს ვარშავაში მოკლულ იქნა 36 და დაიჭრა 560 კაცი.

### ბრძოლა დამამცირებელ პირობების წინააღმდეგ

ინგლისის სხვა და სხვა რაიონების მუშებმა, რომლებიც გენერალურ საბჭოს განკარგულების შემდეგ დაუბრუნდენ სამუშაოს, კვლავ შესწყვიტეს მუშაობა პროტესტის ნიშნად მეპატრონეების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ თავს მოახვიონ მუშებს დამამცირებელი პირობები.

### ლოძისა და ლიუბლინის ჯარები გადავიდენ პილსუდსკის მხარეზე.

15 მაისს მთავრობის ჯარებმა დასტოვეს ქალაქი ვარშავა, რომელიც სავსებით პილსუდსკის ხელშია ამჟამად.

ვარშავის კომისარმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც აკრძალულია ყოველგვარი კრება და ჯგუფური მსვლელობა. ქუჩების მხარეზე ფანჯრები და კარები მუდამ დახურულია. ლოძისა და ლიუბლინის ჯარები გადავიდენ პილსუდსკის მხარეზე.

ქალაქში ამჟამად სისყნარეა. ბევრი სახლი დაზიანებულია პირველ შეტაკების გამო. ქუჩებში ჯერ კიდევაა აღმართული ბარიკადები. ტრამვაის გზა და ტელეფონის ხაზები ბევრ ალაგას გაფუჭებულია.

## მუშათა მილიცია

ვარშავის მუშები ადგენენ მილიციას, რომელიც ითანამშრომლებს პილსუდსკის ჯარებთან ერთად.

# საბჭოთა კავშირში

## სამთა-მადნო მუშათა საკავშირო ყრილობა.

### 2 მილიონი 600 ათასი მანეთი ინგლისის მაღაროს მუშებს.

სამთა-მადნო მუშების საკავშირო ყრილობაზე დოგადოვმა გააკეთა მოხსენება, რომელშიაც განაცხადა:

„ინგლისის მუშათა გაფიცვის ლიკვიდაცია სწარმოებს ისე თავხედურად, როგორიც არ ახსოვს ისტორიას. გაფიცვის დამარცხება აიხსნება იმით, რომ არ იყო სათანადო ხელმძღვანელობა და რევოლიუციონური ენერგია, რამაც გამოიწვია ინგლისის პროფმოძრაობის დასუსტება.

მაგრამ არის ინგლისის მუშების ერთი რაზმი—რაზმი სამთა-მადნო მუშების, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლას. გაფიცულ მუშების მდგომარეობა მეტად ძნელი ხდება იმ პირობებში, რომელსაც უყენებს ამჟამად მათ ბურჟუაზია. საერთო გაფიცვის შეწყვეტის შემდეგ, მაღაროს მუშები განმარტოებულად დარჩენ ბრძოლაში.

ყველა ქვეყნისა და, პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის მუშათა მოვალეობაა—დახმარება გაუწიონ ინგლისის მუშებს. ამიტომ პროფსაბჭომ შეიტანა დადგენილება, რათა ინგლისის გაფიცულთა სასარგებლოდ შეკრებილი ფულები—2 მილიონ 600 ათასი მანეთის რაოდენობით გადაეცეს სამთა-მადნო მუშების ცეკას“.

ყრილობამ დაადგინა გადაეგზავნოს ეს თანხა ინგლისის მაღაროს მუშათა ცეკას.

## შავი ზღვის ფლოტი

სევასტოპოლში დაიწყო წითელი ფლოტის სამ-დღიური.

შავი ზღვის ფლოტელებმა მიიღეს ათარება მისალმებები საბჭოთა კავშირის კომკავშირის უჯრედებისაგან.

შავი ზღვის ფლოტი ამ დღეებში ემზადება ზღვაში გასავალად.

# საქართველოში.

## პირველი ხვნა ტრაქტორით

ლიუქსემბურგის გლეხკომმა მიიღო ორი ტრაქტორი გუთნებით. ტრაქტორებით პირველ ხვნამ დიდი ინტერესი გამოიწვია გლეხებში, რომლებიც შეგროვდენ მომუშავე ტრაქტორებთან. ერთი დესეტინა მიწა მოხნულ იქნა 4 საათში.

## საკრედიტო ამხანაგობათა ზრდა

სასოფლო და საკრედიტო ამხანაგობათა გაერთიანების გამო იზრდება ახალ სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა რაოდენობა.

სულ ქუთაისის რაიონში არის 46 სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა.

# აჭარისტანში

## ჩაის მოსავალი

კარგი ზამთრის გამო ჩაის სანერგეებს მთელ აჭარისტანში კარგი პირი უჩანს.

მარტო ჩაქვის პლანტაციიდან მოელიან 350 ათას გირვანქაზე მეტ მოსავალს.

## ახალი საავტომობილო ხაზი

დაწესებულ იქნა ახალი საავტომობილო ხაზი ბათუმსა და ჩაქვს შორის. ხაზზე მუშაობს ორი ავტომობილი.

## საჩვენებელი პლანტაციები

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა თამბაქოს საჩვენებელ მინდვრების გაფართოებას აჭარის წყალის მაზრაში. საჩვენებელ პლანტაციების მინდვრები აყვანილ იქნება 150 დესეტინამდი.

## დახმარება გლეხებს

ყველა სამაზრო აღმასკომებში მოწყობილია ცნობათა მაგიდები, რათა აღმოუჩინოს გლეხობას იურიდიული დახმარება უფასოდ.

## მასწავლებელთა კონფერენცია

1-ლ ივნისს მოწვეულია აჭარისტანის მასწავლებელთა კონფერენცია. დღის წესრიგშია: მოხსენება ადგილებიდან, გადაცემის მეთოდების გამუქება და განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.

## სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი „აჭარელ გლეხის სახლში“ ხსნის სასოფლო-სამეურნეო მუზეუმს. მუზეუმთან რეგულიარულად მოეწყობა ლექციების კითხვა.

## მოქმედება ღამით.

ომში საბრძოლო მოქმედება დღისითა და ღამითაც სწარმოებს.

ღამე პირველყოვლისა ხელს უშლის მოწინააღმდეგეს აწარმოოს მარჯვე სროლა. მასთან ღამე ჰფარავს ყოველგვარ მოძრაობას, უმთავრესად, ჰაერიდან თვალთვალისაგან. ბოლოს, ღამით შეიძლება მტერს მოულოდნელად დაესხა თავს, ხოლო მოულოდნელობა ყოველთვის სასარგებლოა, ვინც მას გამოიყენებს. უნდა ავღნიშნოთ, რომ ღამით მოქმედება სწარმოებს ყოველგვარ საბრძოლო გარემოებაში. მაგალითად, ჩვენ გვინდა გაშლილ ადგილზე მივუახლოვდეთ მტერს, რომელიც გამაგრებულია საიმედო ალაგს. ყველაზე უკეთესია ამის შესრულება ღამით, ე. ი. ღამით უნდა მიუახლოვდე და გათენებისას იერიშზე უნდა გადახვიდე. უეცარი თავდასხმა უმჯობესია მოახდინო ღამით, რომ ჰაერის მოთვალთვალისაგან დაიმალო. ყოველი მოძრაობა, მით უმეტეს ეხლა, უნდა აწარმოო ღამით. ერთი სიტყვით ჩვენ უნდა ვისწავლოთ ღამით მოქმედება.

ღამით მოქმედებისთვის სა[...]როა თვითეული წითელი არმ[...]ელი ერკვეოდეს და იგნებ[...] ადგილმდებარეობას, გზებსა [...] სხვა. ყველამ კარგად იცის, [...]რა ადვილია ღამით დაბნ[...] კარგად ნაცნობ ადგილებში[...]კი. მაგალითად, ბუჩქი ღამ[...] ხშირად ვეებერთელა სახლად [...]კი მოგეჩვენება, ქვა მთად [...] სხვა. საჭიროა დღისით კარგ[...] გაეცნო ამა თუ იმ უბანს; შ[...]დეგ უნდა დაათვალიერო [...] უბანი შებინდებისას, ბოლ[...] —ღამით და გაიგო, თუ რ[...]გორ იცვლება ადგილობრ[...] საგნების მოხაზულობა და ფ[...]რმა, თუ რომ წითელ არმიელ[...] ეცოდინება ყოველივე ეს, მი[...]თვის ადვილი იქნება ღამი[...] მოქმედება, ძიება, ზვერვა, დ[...]ცვა და სხვა.

ამიტომ, ღამით მოქმედებ[...]სათვის საჭიროა წინასწარ შ[...]ისწავლო ადგილმდებარეობა [...] მასზე მყოფი საგნები, რათ[...] ღამით ადვილი იყოს მიმარ[...]თულების გაგნება.

ვ.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, დ[...] გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

## საბანაკო სწავლებისთვის.

### როგორ უნდა გაიარონ მზვერავებმა მოსახლეობიანი წე[...]რტები.

საზვერავად გაგზავნილი ათეული შეიძლება წააწყდეს თავის გზაზე მოსახლეობიან ადგილს (სოფელს, ქალაქს), რომელიც დათვალიერებას მოითხოვს. მოსახლეობიან წერტის დათვალიერება საკმაოდ რთული საქმეა.

ასეთ ადგილთან მზვერავები რაც შეიძლება ფარულად უნდა მივიდენ და უსათუოდ გამოსძებნონ მახლობლად ისეთი სათვალთვალო წერტი, რომლისგანაც შეიძლებოდეს დანახვა, თუ რა ხდება სოფელში. ამ სათვალთვალო წერტიდან უნდა გაიგო—ჩვეულებრივად მიმდინარეობს სოფელში ცხოვრება თუ არის წესრიგის დარღვევის რაიმე ნიშნები.

თუ რომ რაიმე საეჭვო ნიშნები არ სჩანს, მზვერავები უნდა მიეპარონ რომელიმე განცალკევებულ სახლს, გარს შემოერტყან და დაიკავონ ყველა კარები; შემდეგ უნდა გამოიწვიონ გარეთ მცხოვრებლები და დაჰკითხონ (უმჯობესია ცალკ-ცალკე დაკითხვა).

თუ რომ მცხოვრებლები აცნობებენ, რომ მოსახლეობიანი წერტი არაა დაკავებული მტრის მიერ, მზვერავი მიდის განაპირა გზებით; მათ თან მიჰყავთ მცხოვრებლები, როგორც მძევლები, მოსახლეობიან წერტის შუა ადგილამდი, სადაც გამოარჩევენ კვლავ ღარიბ ოჯახს (ღარიბი ჩვენი უახლოესი მეგობარია) და დაეკითხებიან მტრის შესახებ. ხშირად სასარგებლოა ღარიბის მაგივრად ბობოლასა და მდიდრის აყვან[ა] მძევლად.

მცხოვრებთა დაკითხვის დრო[ს] მზვერავები უნდა მოქმედებდე[ნ] ფარულად და ყველას არ უნდა ეჩვენონ, როცა მზვერავებ[ი] გაიგებენ, რომ სოფელი არაა დაკავებული მტრის მიერ, განაგრძობენ წინსვლას საბრძოლო მზადებით.

მოსახლეობიან წერტში შესვლისას მეომრებმა არ უნდა გააბან კერძო ლაპარაკი მცხოვრებლებთან, გარდა იმ ამხანაგებისა, რომლებიც აწარმოებენ დაკითხვას.

მოსახლეობიანი წერტი, როგორც წესი, გავლილ უნდა იქნას სწრაფად და დასაკითხავი პირები თან წაყვანილ უნდა იქნას.

მზვერავთა მთავარი ნაწილი (ბირთვი) ყოველთვის მიდის შუა ქუჩით, მზვერავები განაპირა პარალელ ქუჩებით და მხედველობითი კავშირი უჭირავთ ერთმანეთთან ჯვარედინ ქუჩებში. პირდაპირ შუა ქუჩაში სიარული არ შეიძლება.

მზვერავებმა უნდა იარონ ქუჩის ერთ მხარეზე და თვალყური ადევნონ მეორე მხარეს.

მოსახლეობიან წერტებიდან გამოსვლისას კარგად უნდა დაათვალიერონ წინამდებარე ადგილები და განაგრძონ გზა.

ი. ბ.

# სამხკორი და წითელ არმიელთა პრესა ბანაკობის პერიოდში.

სახკორთა და წითელ არმიელთა პრესის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყონ საბრძოლო მომზადებას. ამისათვის აუცილებელი საჭიროა გაფართოებულ იქნას როგორც ნაბეჭდ, ისე კედლის გაზეთებში როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ სწავლების განყოფილებები. რა თქმა უნდა გაზეთი არ უნდა იქნას გადაქცეული სახელმძღვანელო წიგნად; აქ არ უნდა იქნას გადმოცემული სწავლების ესა თუ ის საკითხი წესდების მიხედვით.

ასეთი მასალა ჩვეულებრივათ მოსაწყენია და ის ვერ დააინტერესებს მკითხველ წითელ არმიელებს.

გაზეთი უნდა დაუკავშირო ნაწილში წარმოებული სამხედრო—პოლიტიკურ მეცადინეობას.

მაგრამ ეს დაკავშირება აგებულ უნდა იქმნას ცოცხალ მაგალითზე.

სამხედრო სწავლების განყოფილების ამ რიგათ დაყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მუშაობაში ჩაბმულია მეტი რაოდენობა სამხკორებისა.

ამასთან ერთად ჩვენ წინ სდგას მნიშვნელოვანი ამოცანა:

### ვასწავლოთ სამხკორებს წერა სამხედრო ხასიათის საკითხებზე.

ჩვენ ვიცით, რომ სამხკორი უფრო ხშირათ და ხალისიანათ სწერს ყოფა-ცხოვრების საკითხებზე.

ის უფრო ადვილათ შეამჩნევს და ასწერს, რაიმე მცირე ნაკლულოვანებას სამზარეულოში, ვიდრე დიდ ნაკლს სამხედრო სწავლებაში.

სამხკორი მუშაობს მშვიდობიან გარემოებაში. როცა სამხკორი წერილს სწერს ლენინის კუთხეში, ის სრულებით არ ფიქრობს იმაზე, რომ მას მოუხდება მუშაობა სულ სხვა გარემოებაში, როცა კავშირის პირობები და გაზეთის მოთხოვნილებები შეიცვლება.

### ვიმუშაოთ მხედრულათ.

საბანაკო სწავლების დროს, უნდა ვეცადოთ, რომ სამხკორები, პრაქტიკულათ ამუშავებდენ საკითხებს, საბრძოლო გარემოებასთან შეფარდებით. ამ პრაქტიკისთვის განსაკუთრებით კარგ პირობებს ქმნიან მოძრავი, ცხენოსანი შეკრებები და მანევრები. აქ სამხკორები ზედმიწევნით უნდა მოემზადონ.

სწორედ ეს ძირითადი ამოცანა წამოყენებულია რესპუბლიკის პოლიტ-სამმართველოს დირექტივაში საზაფხულო პერიოდისთვის.

ღებულობს რა მხედველობაში მეცადინეობით დატვირთვას საბანაკო პერიოდისთვის, დირექტივა არ ურჩევს სამხკორთა სემინარებისა და კონფერენციების ჩატარებას; ის ითვალისწინებს სამხკორთა კრებებს გარნიზონებში, ბანაკათ გასვლამდის და მანევრების წინ საბანაკო ან დივიზიის ფარგლებში.

პირველ კრებებმა უნდა გააცნოს სამხკორებს საბანაკო მუშაობის ამოცანები, ხოლო შემდეგმა მისცეს პრაქტიკული დარიგებები სამხკორთა მუშაობის შესახებ მანევრებზე.

### მოვამზადოთ სოფლის კორესპონდენტები.

სპეციალური მუშაობაა საჭირო შვებულებაში მიმავალ სამხკორთა შორის. ისინი უნდა მოემზადონ მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა მუშაობისათვის, იმ გადაწყვეტილებათა საფუძვლებზე, რომელიც მიიღო კორესპონდენტთა მეორე საკავშირო თათბირმა და განსაკუთრებით გაეცნონ იმ მასალებს, რომლებსაც მოგვცემს მესამე თათბირი მაისის ბოლო რიცხვებში.

გარდა ამისა, შვებულებაში მიმავალ სამხკორებში მომზადებულ უნდა იქნან აქტიური კორესპონდენტები, სამოქალაქო გაზეთების სამხედრო განყოფილებებისათვის.

შვებულებაში წასულ სამხკორმა უნდა მოაგვაროს სამხედრო განყოფილების საქმე სოფლისა და ქალაქის კედლის გაზეთში.

### საფუძველი საბრძოლო მომზადებაა

შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელის ჯარის გარეშე მუშაობისთვის მომზადების საკითხი არ უნდა ჩრდილავდეს საბრძოლო მომზადების საკითხს, რომელიც წარმოადგენს ძირითად საკითხს სამხკორთათვის. ბანაკის კედლის გაზეთებმა უნდა გააუმჯობესონ და გააფართოვონ თავიანთი განყოფილებები და მეტი ყურადღება მიაქციონ ფიზკულტურასა და სპორტს.

მანევრების დროს გადასინჯულ უნდა იქმნას კედლის გაზეთის გამოცემის ყველა ის ფორმები, რომლებიც უფრო მიზანშეწონილი და გამოსადეგია ლაშქრულ მოძრაობის პირობებში.

მ—ი.

# ტერ-შეკრებაზე

## ცვალებადელები ხალისიანად მოდიან

მე-6 ქართ. მსრ. ლეგიონი

14 მაისს ლეგიონის ხელმძღვანელთა განკარგულების თანახმად ლეგიონში გამოცხადნენ 1903 წ. დაბადებული ცვალებადელები ახალწვეულები დიდი ხალისით და მხიარულებით მოდიან ნაწილში.

მოსვლისთანავე გაიმართა მათთან საუბარი, ძველი წითელ არმიელების მიერ ურთიერთად დაახლოებასა და გაცნობის მიზნით.

ახალწვეულნი თავიანთი მოძმე წ. არმიელებს უზიარებდენ მათ ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია დუშეთიდან ჩამოსულ ახალწვეულებმა. ამ ასეულის შემადგენლობაში ყველა გლეხებია; ისინი დიდათ დაინტერესდენ ლეგიონის კლუბით, რომელიც მოწყობილია ლამაზათ სხვა და სხვა ლოზუნგებით და სურათებით.

15 მაისს მთელმა ლეგიონმა შეიყარა თავი და შეუდგენ იმ საქმის დაგვირგვინებას, რომელიც ჩვენ დაგვავალა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ.

დ. ლ—ძე.

## სემინარები ნაყოფიერად დასრულდა.

მე-6 ლეგიონი.

იმ მიზნით, რომ ლეგიონის უფპოლიტშემადგენლობა მომზადებულიყო შეხვედრიყო ცვალებადთა შეკრებას, ნაწილში ათასეულების ფარგლებში დაარსდა სემინარები. სემინარებს უშვალოთ ხელმძღვანელობდენ ათასეულების მეთაურები, ხოლო საერთო ხელმძღვანელობას უწევდნენ ლეგიონის მეთაური და სამხკომი. ყველა ათასეულების მეთაურების მიერ შედგენილ იქნა პროგრამები. მათი საბოლოო დამტკიცების შემდეგ დაიწყო მეცადინეობა 15 აპრილიდან.

სემინარებზე ესწრობოდენ ოცეულების მეთაურები, ასეულის მეთაურები და პოლიტხელმძღვანელები.

გადიოდნენ ტაქტიკას, ტოპოგრაფიას, სასროლო საქმეს, ფორტიფიკაციას და პარტ-პოლიტ საგანმანათლებლო მუშაობას. მეცადინეობა მიმდინარეობდა შემდეგი წესით: ათასეულის მეთაური აცხადებდა თემას; მეორე დღისთვის მას ყველანი ამზადებდნენ; კეთდებოდა მოხსენება რომელიმე მსმენელისაგან; იყო შეკითხვები და ბოლოს იმართებოდა კამათი. კამათის შემდეგ კი სწარმოებდა პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობა. გავლილი იქნა სასკოლო და სკოლის გარეშე მუშაობის პროგრამები, რაც თეორეტიულ მეცადინეობის შემდეგ დამუშავებულ იქნა პრაქტიკულათ. საერთოდ სემინარების მეცადინეობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. მიმდინარე შეკრებას ჩვენი მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა უფრო მომზადებული ხვდება, ვიდრე გასულ წელს.

ლ—ძე.

## პოლიტგამოცდები კარგად ჩატარდა

მე-2 ლეგ. მე-2 ათასეული.

ათასეულში მოხდა ძველ და ახალ წითელარმიელების პოლიტგამოცდები, რომლებმაც გამოაშკარავეს ჩვენი მეომრების პოლიტმომზადების დონე. კომისია მეტად კმაყოფილი დარჩა გამოცდებით. ყველა წითელარმიელები თამამად უპასუხებდენ შეკითხვებზე და იშვიათად, რომ ჩაჭრილიყოს რომელიმე.

ზამთრის პერიოდში წარმოებულ მუშაობას უქმად არ ჩაუვლია ამ მხრივ. მეთაურებმა მადლობა გადაუხადეს წითელარმიელებს გულმოდგინეობისათვის და იმედი გამოსთქვეს, რომ კიდევ უფრო მუყაითად განაგრძობენ მეცადინეობას მომავალში.

ამნაირად, მიუხედავად ლეგიონისაგან ცალკე არსებობისა ჩვენი ნაწილი მაინც არ ჩამოუვარდება მას საერთო საგანმანათლებლო და სხვა მუშაობის ნაყოფიერებაში.

მარინავა.

## პასუხად სამხკორ ვალერის.

გაზეთ „წითელ არმიელის“ № 99-ში მოთავსებული იყო მე-6 ლეგ. სამხ. ვალერის წერილი, რომელიც აღნიშნავდა ლეგიონის ყველა წრეების გაცხოველებულ მუშაობის შესახებ, როდესაც არც ერთი წრე, გარდა პარტ-სკოლისა და კომკავშირის ჯგუფისა არ მუშაობს. არ ვიცი საიდან მოიგონა ამხანაგმა ეს და რისთვის დასჭირდა. საჭიროა ამხანაგი ისე უდგეს საკითხს, როგორც ყოველფერება არსებულ მდგომარეობის სინამდვილეს. როდესაც არაფერი კეთდება და მაინც ქებას ვასხამთ ვისმეს, ის შემდეგში აღარაფერს გააკეთებს. საჭიროა მტკიცედ შევითვისოთ ეს სამხკორებმა. თუ გვაინტერესებს ნაწილის კეთილდღეობა უნდა იწერებოდეს სინამდვილე, აშკარავდებოდეს დეფექტები და ამით უფრო შევსძლებთ ჩვენი მუშაობის სწორ გზაზე დაყენებას.

არ ვარგა ვაქოთ ის, რაც სინამდვილეში არ არის.

ნინუაკუთხელი.

## მოხსენება სამნეო მდგომარეობაზე

მე-2 მესანგრე ასეული

12 მაისს შესდგა ასეულის შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა ნაწილის მნის მოხსენება ასეულის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ. მოხსენება მეტად საყურადღებო აღმოჩნდა, რადგან წინ გადაგვეშალა ნაწილის მთელი მატერიალური შესაძლებლობანი. შეკითხვები აუარება მისცეს მომხსენებელს, რომელმაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა ყველას და აღუთქვა, რომ უდიდესი ყურადღება მიექცევა შემჩნეულ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას, როგორიც იყო უვარგისი ხორცის დამზადება და სხვა ასეთები.

დასასრულ კრებამ მოისმინა მოხსენებები ავიოქიმისა და საკონსულტაციო ბიუროების შესახებ. კრებამ აირჩია საზოგადოებების ბიუროები სამსამი კაცისაგან, რომლებსაც დაევალა სათანადოთ საქმის მოგვარება. წითელ არმიელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ ყველა საკითხების გარჩევაში.

საჭიროა ხშირად მოეწყობოდეს ასეთი საერთო კრებები.

შუქი.

## აგეგმვა დავიწყეთ

(მეთაურთა სკოლა)

ჩვენს სკოლაში თითქმის ნახევარი თვეზე მეტი მეცადინეობა შეწყვეტილი იყო. ამის მიზეზი იყო ის, რომ ზამთრის პერიოდი დასრულდა და კურსანტები დათხოვნილ იქნენ მოკლე ვადიან შვებულებაში. ამ ჟამად მუშაობა კვლავ დაიწყო. უმცროსი და მოსამზადებელი კურსი უკვე აწარმოებს აგეგმვას.

ამ მოკლე ხანში უფროს კურსსაც დაეწყება მეცადინეობა. აღსანიშნავია, თუ როგორ გულდასმით და ხალისით ეკიდებიან კურსანტები აგეგმვას.

შარშან ხელს გვიშლიდა მუშაობის დროს ყიბლანის და სხვა ხელსაწყოების უქონლობა, რაიც ერთი ორად აბრკოლებდა წესიერად მუშაობას. თითქმის ორ-სამ და ზოგიერთ შემთხვევაში მეტ კურსანტებზე მოდიოდა მხოლოდ ერთი ხელსაწყო.

ეხლა კი ეს ნაკლი გამოსწორებულია, თვითეულ კურსანტს აქვს აგეგმვისათვის ყოველივე ხელსაწყო. აგეგმვის დამთავრების შემდეგ ჩვენი სკოლა გაემგზავრება ბანაკად.

რუხი.

## საუბარი დისციპლინაზე

მე-2 ლეგ. 2 ათასეული.

ამ რამოდენიმე დღის წინად ათასეული ინახულა ლეგიონის თავმა. მოწვეული იქნა ნაწილის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა ნაწილის საერთო მდგომარეობის შესახებ მოხსენება. შემდეგ ვრცლად გვესაუბრა ლეგიონის თავი სამხედრო დისციპლინის და მისი წესიერად დაცვის აუცილებლობაზე. გაგვაცნო თუ დისციპლინის დარღვევის როგორ შემთხვევას რა სასჯელი მოსდევს.

ლეგიონის თავი მრავალ სხვა საყურადღებო საკითხებზედაც გვესაუბრა. გაგვაცნო საბჭოთა კავშირის მდგომარეობა, თუ როგორ თანდათან მტკიცდება ის ყველა საშინაო და საგარეო ფრონტებზე და როგორ უნდა დაირაზმოს წითელი არმია თუ გაბედავს ვინმე და თავს დაესხმის მუშურ გლეხურ ქვეყანას.

საუბარმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ არმიელებზე და ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელშიდაც აღნიშნულია, რომ მტკიცედ დაიცავს ნაწილი დისციპლინას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შეებრძოლება მუშებისა და გლეხების მტრებს.

ცუდლრისპირელი.

# ფელეტონი

### აქა ამბავი წითელ არმიელ გიორგაძისა

— ეხ! რაც იქნება, იქნეს!

სთქვა 1-ლ მესანგრე ასეულის წითელ არმიელმა გიორგაძემ, შეჰკრა თავისი ნივთები და მოჰკურცხლა სახლისაკენ.

ბევრი იხეტიალა, თუ ცოტა იხეტიალა, ისევ დაუბრუნდა ყაზარმას.

—ეხ! რაც მომივა, მომივიდეს!

სთქვა მეორეთ გიორგაძემ და მეორედ გაიპარა სახლში.

იხეტიალა, იხეტიალა და ისევ დაბრუნდა.

— ჯანი გავარდეს, მესამეთაც გავიპარები, კარგია სახლში ყოფნა.

სთქვა მესამედ გიორგაძემ და გაიპარა.

მიდის გიორგაძე პირზე, ღიმი უთამაშებს, გუნებაში ეხატება თაყი, ქათმის ხორცი, ცხელი მჭადი.

— დაიჭით, დაიჭით დეზერტირი—უცებ მოესმა გიორგაძეს და მრავალმა ხელმა აიტაცეს გიორგაძე და დასკუპეს ყაზარმაში საბრალმდებლო სკამზე.

მიიხედ მოიხედა გიორგაძემ და დაინახა თავისი ამხანაგები, რომელნიც რაღაც ფაცა-ფუცში იყვნენ და როგორც ეტყობოდათ ემზადებოდნენ რაღაც დიდი საქმისათვის.

საქმის ვითარებაც მალე გამოირკვა—შეარცხვინეს, საჯაროდ გაკიცხეს დეზერტირობის თაყვანის მცემელი გიორგაძე.

იჯდა სკამზე თავჩაღუნული, შერცხვენილი დეზერტირი და ამბობდა თავის გუნებაში:

„რაც მოგივა დავითაო, შენი უტვინო თავითაო“.

### აქა ამბავი კუბიკებისა.

მე-2 ლეგ. მე-2 ათასეულის წითელი არმიელი (მისი თანამდებობა არის იარაღის ინსტრუქტორი) ერთ მშვენიერ დღეს რაღაცა დიად აზრებში გართული დაიარებოდა. მის ტვინში დაახლოვებით ასეთი რამე ხდებოდა:

— მე ეხლა ვარ იარაღის ინსტრუქტორი. ეს დიდი თანამდებობაა, ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა. ამიტომ არ შემფერის წითელ არმიელებთან თავის გაყადრება. უპირველეს ყოვლისა მჭირია კუბიკები, ეს იქნება განსხვავების ნიშნები, შემომხედავენ და იტყვიან, ალბათ ეს დიდი კაციაო. ჩვენს მეთაურებს ორი კუბიკი აკერიათ, მე, როგორც ინსტრუქტორს, მომიხდება ოთხი კუბიკი.

მოიჩხრიკა ჯიბეები ინსტრუქტორმა, იყიდა და მიიკერა ოთხი ლამაზი, ბჭყვრიალა კუბიკი. ამის შემდეგ ისე გაიჭიმა, რომ კაცს ეგონებოდა აი, საცა არის გასკდებაო. კუბიკების გაკეთების შემდეგ შეუდგა ქეიფს. ძალიან უყვარს დოლი და სალამური.

დაივიწყა ყველაფერი. არაფერი აღარ ახსოვს.

ჩაჰბერს სალამურს და დასძახებს ტკბილი ხმით:

„სამი რამ მიყვარს ამ ქვეყნათ,
სალამურ, კუბიკ, დოლები,
დოლს დავსცხებ, სალამურს ჩავბერ,
კუბიკებს ვენაცვალები“.

— —

არა, ინსტრუქტორო, არ გამოგადგება ასეთი ქცევა, გმართებს შენ (და ჩემი რჩევაც ეს არის) მიანებო თავი კუბიკებს, დოლს და სალამურს, თორემ, ხომ იცი, შემდეგ გვიან იქნება თითზე კბენანი.

ელეაზარი.

## ჩვენი საკავშირო კომისიის მუშაობიდან

1-ლი ლეგიონი.

ამ რამოდენიმე დღის წინად ლეგ. საკავშირო კომისიამ ჯამი გაუკეთა 9 თვის განმავლობაში თავის ნამუშევარს და წარუდგინა ლეგიონის საერთო კრებას.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კომისიას დაუძლევია ყველა დაბრკოლებები და გამოუსწორებია ის ნაკლულევანებანი, რომლებიც შემჩნეული იყო გასულ წელში. წელს კომისია დიდი მიღწევებით გამოვიდა ლეგ. საერთო კრების წინაშე. მის მუშაობისათვის კარგი ხელმძღვანელობა გაუწევია ლეგიონის ხელმძღვანელებსა და ბიურო-კოლექტივს.

კავშირი სამოქალაქო ორგანიზაციებთან.

კომისიის მეოხებით ლეგიონმა სასურველი კავშირი დაამყარა სხვადასხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან. დაკავშირებული ვართ ტყავტრესტის, „ზაკხლოპკომის“ და ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატის მუშამოსამსახურეებთან. ლეგიონის უჯრედებიდან მიმაგრებულ არიან ამხანაგები მათ უჯრედებთან და პირიქით. ხშირად ეწყობა ექსკურსიები დაკავშირებულ დაწესებულებებში. მათი გასამხედროების საქმეში დიდ მონაწილეობას ვღებულობთ. ვაწყობთ მათთან სამხედრო კუთხეებს, სადაც ხელმძღვანელებათ იგზავნებიან მცოდნე ამხანაგები.

ბანაკში გასვლის შემდეგ კავშირი ორგანიზაციებთან მაინც არ შეწყვეტილა. ყაზარმებში დარჩენილი ნაწილი ისევ იმყოფება მათთან ურთიერთობაში.

დამოკიდებულება სოფ. დიღომთან.

აღნიშნულ დაწესებულებების გარდა, კომისიის საშვალებით ლეგიონმა შესძლო მჭიდრო კავშირის დამყარება სოფ. დიღომის გლეხობასთან. ვაგზავნით ამხანაგებს კამპანიის ჩასატარებლად; უკეთებენ მოხსენებებს სხვადასხვა საკითხების გარშემო, ვაწვდით ლიტერატურას და უმართავთ უფასო წარმოდგენებს. ამას წინად მოვაწყვეთ ფასიანი წარმოდგენა ადგილობრივ სასწავლებლისა და ქვრივ-ობლების სასარგებლოდ. ადგილობრივი გლეხები ხშირად ჩამოდიოდენ ლეგიონში, ეცნობოდენ ჩვენს ცხოვრებას და მუშაობას და მონაწილეობასაც ღებულობდენ მასში. ადგილობრივ საბჭოში გაყვანილი არიან ჩვენი წარმომადგენლებიც. ამჟამად ვმუშაობთ სოფლის ბაღის მოსაწყობათ, რასაც დიდი აღფრთოვანებით ეგებება გლეხობა.

ურთი-ერთობა სამხედრო ნაწილებთან

ლეგიონი კარგ ურთიერთობაშია ცხენოსან ლეგიონთან, ჯავშნოსან დივიზიონთან და არტლეგიონთან. ცოტა მოისუსტებს კავშირი ცხენოსან ლეგიონთან. ხშირად ვიწვევდით მათ ჩვენთან წარმოდგენებზე, მოხსენებებზე და სხვა, მაგრამ ვერ გვეხმარებოდენ სათანადოთ. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ვაკეთებთ ჩვენი მხრივ ყველაფერს. ეს ნაკლი ალბად გამოსწორდება მომავალში ცხენოსან ლეგიონის მიერ. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილებს მათთან კავშირი დამაკმაყოფილებელია. ხშირად მივდიოდით ერთმანეთთან და ვეცნობოდით ერთმანეთის მუშაობას.

ს. იმნაიშვილი.

# მოსპეთ ნაკლულევანებანი

## არა გვაქვს წყალი

მე-2 ლეგიონის სამნეო ნაწილში გამოყვანილია წყლის მილი, მაგრამ თავის დროზე არ არის წყალი. ყოველთვის მაშინ სწყდება წყლის დენა, როდესაც დიდი საჭიროება არის, ასეთი შემთხვევები სისტემატიურად მეორდება, მაგრამ ნაწილში არავითარი ზომებს არ ღებულობენ.

თუ მოუხერხებელია ის, რომ ყოველთვის მოდიოდეს წყალი მილში, წყლის მოგროვება მაინც არ არის ძნელი, რომ მარაგათ გვექნეს წყლის შეწყვეტის ხანებში. საჭიროა ამის შესახებ იზრუნონ ნაწილის უფროსებმა.

წ. არმ. ლ—ტი.

### გააფრთხილეთ მემანქანეები

სამხ. გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის სადგურის მემანქანე ვერ მუშაობს წესიერად. მაინცადამაინც ოთხშაბათობით უფუჭდება სადგურს ყველაფერი და აღარ არის სინათლე, როდესაც კინო სურათები უნდა გვაჩვენონ კურსანტებს. მეორე დღეს კი სადგური ამუშავდება, მაგრამ კინო სურათების გამშვებ მანქანაზე მომუშავე მექანიკოსი აღარ ჩდება ნაწილში. ნეტა შეთანხმება ხომ არ მოუხდენიათ ამ ორ მემანქანეს. რაღა ყოველ ოთხშაბათობით ფუჭდება მაინცადამაინც სადგური? თუ იქნება სწორედ ოთხშაბმთობით არის საჭირო რომ დროზე მიდიოდეს მემანქანე? საჭიროა გამოარკვიონ ეს საქმე და კურსანტებს საშვალება მოგვცენ კინო სურათების ხილვის.

რუხი.

### მოგვეცით პოლიტხელი

მე-2 ლეგიონის მუსიკალურ ჯგუფს არა გვყავს პოლიტხელმძღვანელი. პოლიტსაათების ჩატარების საქმეს ჩვენთან ყურადღება არ ექცევა. წითელ არმიელებში უკმაყოფილებას აქვს ამისთვის ადგილი. არა ერთხელ მივმართეთ ამის შესახებ სადაც ჯერ-არს, მაგრამ უშედეგოთ. კარგი იქნება ეხლა მაინც მოგვექცეოდეს ყურადღება და მოგვცემდენ ერთ პოლიტხელს.

კ—ძე.

# ახალი ავიაციასა და ქიმიაში

### პოლონეთის საჰაერო ძალები

საბჭოთა კავშირის მეზობლებს შორის ყველაზე უფრო ძლიერი და ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული საჰაერო სამხედრო ფლოტი ყავს პოლონეთს. ეს ფლოტი შექმნეს იმპერიალისტური ომის დამთავრების შემდეგ რუსულ, ავსტრიის და გერმანიის საჰაერო ფლოტის ნაწილებიდან, რომლებიც ჩამორჩენ და მოყვენ პოლონეთის ტერიტორიის ფარგლებში. მხოლოდ ფლოტი გაძლიერდა უფრო 1919 წლიდან საფრანგეთის დახმარებით.

პოლონეთში, ისე როგორც საფრანგეთში საავიაციო მსხვილ გაერთიანებათ ითვლება ლეგიონი, რომელიც იყოფა სამ დივიზიონად. თითეული დივიზიონი შესდგება 2—3 ერთგვაროვანი ესკადრილიებისაგან (ჩვენებურად რაზმებისაგან) თითეულ რაზმში კი ითვლება 10 ჰაეროპლანი. სულ პოლონეთის საჰაერო ფლოტი შესდგება ხუთი ლეგიონისაგან. ამის გარდა განზრახულია აგრეთვე შექმნან მიმდინარე 1926 წელში ორი ლეგიონი კიდევ.

ორგანიზაციულად ფლოტი იმყოფება საფრანგეთის გავლენის ქვეშ და იქედანვე ღებულობს ყოველგვარ საჭირო მასალებს ფლოტის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.

### მიწის პირიდან აღიგვებიან

ფრანგულ ჟურნალ—„ქიმია და მრეწველობა“-ში მოთავსებულია საფრანგეთის საჰაერო ფრენის კომიტეტის თავმჯდომარის წერილი, რომელშიდაც ის ამბობს რომ „ომის შემთხვევისათვის, რომელიც შეიძლება დაწყებული იქნეს მოკავშირეებისაგან გარმანიასა და საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ მოკავშირეები ისე ემზადებიან, რომ შესძლებენ ხსენებულ ქვეყნების „მიწის პირიდან აღგვას“-ო. საფრანგეთი და ინგლისი გამოიყვანს სათითაოდ 1.200 ჰაეროპლანს, იტალია—600, ბელგია—200, პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკია—350 ბომბის მტყორცნელებს სათითაოდ. ამნაირად მისი აზრით შეიძლება შეიქმნეს უძლეველი 4.000 ჰაეროპლანისაგან შემდგარი საჰაერო ფლოტი, რომელიც ადვილად გაუსწორდება იმ 2.000 ჰაეროპლანს, რომლის გამოყვანას ძლივს შესძლებენ გერმანია და რუსეთი.

მისი აზრით ომის დაწყების შემთხვევისთანავე უნდა აღიგავონ მიწის პირიდან გერმანიის შემდეგი ქალაქები: გამბურგი, ბერლინი, ბრესლავლი, კონიგსბერგი, მიუნხენი, დრეზდენი და ლეიპციგი.

ასე აშინებს ის გერმანიასა და რუსეთს. მაგრამ მას ავიწყდება, რომ ასე ადვილად არ ეწყობა ჰაეროპლანები. რატომ არ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ინგლისის ჰაეროპლანები არ იქნეს მიმართული საფრანგეთის წინააღმდეგ?

### იაპონია ემზადება ქიმიური ომისთვის

იაპონიის სამხედრო სამინისტრომ 2 ნახევარი მილიონი დოლარი გადასდო აირებით წარმოებულ ომის შესწავლისათვის ლაბორატორიის ასაგებათ. ლაბორატორიის მოწყობა დამთავრდება 1927 წელში. ასეთი ცდები ეხლაც სწარმოებს იაპონიის სხვა და სხვა სამხედრო და კერძო ქიმიურ ლაბორატორიებში.

# სამხედრო ქრონიკა

### მიღება სამხედრო-საზღვაო სკოლებში

გამოცხადებულია სამხედრო-საზღვაო სკოლების სპეციალურ კურსებზე მიღების წესი. მიღება იწარმოებს საინჟინერო, გიდროგრაფიულ და ამხ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლებში.

უმცროს სპეციალურ კურსებზე მიიღებიან: წითელ ფლოტელები, წითელ არმიელები, მუშფაკელები და სხვა მოქალაქენი. წითელ ფლოტელები არ უნდა აღემატებოდენ 24 წელს, წითელ არმიელები და მუშფაკელები—23 და კერძო მოქალაქენი 22 წელს.

საჭიროა ცოდნა მუშფაკის ან მეორე საფეხურის შრომის 9 წლედი სკოლის კურსით.

კურსებზე შესვლის მსურველებმა გარდა წითელ ფლოტელებისა, უნდა ჩააბარონ გამოცდები მათემატიკაში, ფიზიკაში, რუსულში და საზოგადოებრივ მეცნიერებაში 9 წლედი შრომის სკოლის მთელი კურსის მიხედვით.

მეცადინეობა გრძელდება კურსებზე 3 წელიწადს, ინჟინერების გარდა, რომლებიც გადიან მთელ კურსს 5 წლის განმავლობაში.

მეცადინეობა დაიწყება 1-ლ ოქტომბერს.

# უცხოეთის არმიებში

### სანამდე მიდის ბურჟუაზიის პირფერობა.

ბურჟუაზიული საფრანგეთი იმპერიალისტური ომის დასრულებიდან აგერ მეცხრე წელიწადია, რაც სცხოვრობს მაშინდელი სისხლის ღვრის მოგონებებით. თითეული დღე შეიძლება გადაქცეული იქნეს რომელიმე ბრძოლის წლის თავად. საფრანგეთში კიდევაც სჩადიან ამას, რომ კიდევ უფრო გააძლიერონ სისხლის ადების წყურვილი მეზობელ-ყოფილ მოპირდაპირე სახელმწიფოებისადმი. ამნაირად თანდათან აგდებენ შუღლს და აძულებენ გერმანელებს საფრანგეთის ხალხს.

ასეთი აგიტაციის წარმოებისათვის მრავალ საშვალებებს იგონებენ ფრანგი კაპიტალისტები. მაგალითად პარიზში, ამ მიზნით, ქალაქის შუაგულში აგებულია საზეიმო კოშკი გამარჯვების აღსანიშნავად, ხოლო მის ახლოს არის ეგრედწოდებული „უცნობი ჯარისკაცის“ საფლავი. ომის დროს გადმოტანილი იქნა ფრონტიდან მოკლულ უცნობი ჯარისკაცის გვამი და დაასაფლავეს აქ დიდი ამბით, რომლითაც მოუწოდებენ მთელი საფრანგეთის ხალხს: „არ დაივიწყოთ ხალხო სამშობლოსათვის თავგანწირული ჯარისკაცი, მიხედეთ მის საქციელს“.

ამ საფლავის წინაშე ყოველდღე იმართება კომედია. 9 აპრილს პორტუგალიის წარმომადგენელმა პარიზში ჯარისა და საფრანგეთის ხელისუფალთა თანდასწრებით აღნიშნულ საფლავს დაადვა ცოცხალი ყვავილებისაგან გაკეთებული გვირგვინი და პორტუგალიის ეროვნული დროშა, 1916 წ. ნევ-შეპალეში მომხდარ ბრძოლის წლის თავის აღსანიშნ
ვად, როდესაც პორტუგალი
ერთ დივიზიონმა შესძლო გერ
მანელების 11 დივიზიონის ი
რიში შეჩერება და რომლ
დროს დაჰკარგეს 4.000 ჯარი
კაცი.

ბურჟუაზიის აზრით 4.00
ჯარისკაცის სიცოცხლე შე
ძლება შეცვლილი იქნეს ერთ
სამ მანეთიანი გვირგვინი
ასე პირფერობს ჰირსისხლიან
ბურჟუაზია.

### კატორღა ოფიცრის მკვლე ლობისათვის.

9 აპრილს საფრანგეთის სა
ველე სასამართლომ გაასამა
თლა მეზღვაური ჯარისკაც
რომელმაც საგუშაგოზე დგო
მის დროს მოჰკლა ოფიცერ
ჯარისკაცი ამბობდა, რომ ვე
იცნო თავის მეთაური და ე
როლა როგორც მოვალეო
გუშაგის მოითხოვდა.

სასამართლომ მეზღვაურს მ
უსაჯა 20 წლის იძულებით
სამუშაო.

# მეცნიერება და ტეხნიკ

### აზრის გადაცემა მანძილზე

1) ცდები აზრის გადაცემის შესახებ.

სამეცნიერო ლაბორატორიებში დიდი ხანია სწარმოებს ცდები იმის შესახებ, მოსახერხებელია თუ არა აზრის მანძილზე გადაცემა. უშვალოდ აზრები გადადიან ადამიანზე— ეს ე. წ. გიპნოტიზმია, მაგრამ ამა თუ იმ აზრის (შთაგონების) გადაცემისათვის საჭიროა, რომ აზრის გადამცემი იმყოფებოდეს იმის ახლოს ვიზედაც უნდა გადავიდეს აზრი, ჩაჰკიდოს მას და შეეცადოს მის დაძინებას გიპნოზური შთაგონების მოხდენის მიზნით.

ამას წინად, საბჭოთა სამეცნიერო ლაბორატორიაში მოსკოვში მოახდინეს ამ მიზნით შემდეგი სახის ცდა:

ცნობილი—ცხოველების მომშინაურებელი და გამომზრდელი დუროვი მოთავსებულ
იქნა ყოველმხრივ დახურუ
ყუთში. ის გერგეტიულად იყ
დაცული, ე. ი. მისი კედლე
არ უშვებდა არც ერთ ბგერა
ყუთის წინ მოათავსეს დურ
ვის ძაღლი. დუროვს ყუთიდ
შთაგონების საშვალებით უნ
გადაეცა ძაღლისთვის ზოგიე
თი აზრები. დუროვმა გააზრ
ბით უბრძანა თავის ძაღლ
წადი მეზობელ ოთახში, მ
სძებნე ჩვარი და მოიტანეო“.

ძაღლი სწრაფად წამოდგ
გაემართა ოთახისკენ, მოსძებ
ჩვარი და მოუტანა. ამ დრ
დუროვი ფიქრობდა არა სი
ყვით, არამედ მოქმედებით,
ი. ის წარმოიდგენდა თუ რ
გორ გაემართებოდა ძაღლ
ჩვარის მისატანად, როგო
მოიტანდა ის ჩვარს და დ
დებდა ყუთთან.

# ჩვენი კავშირის მეზობლები

## ჩინეთი

### მიწის დამუშავება

სასოფლო მეურნეობაში არ არის გამოყენებული არც ერთი მანქანა. შინაური ცხოველებიც ნაკლებად გამოყენებულია ჩინეთის სოფელში მიწის დასამუშავებლად, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მუშაობის მთელი სიმძიმე თვითონ გლეხს აწევს კისერზე.

ხშირად მიწას ამუშავებენ უბრალო ხის კუნძისაგან დამზადებული გუთნით, რომელშიდაც შინაური ცხოველების მაგივრად თვითონ გლეხები ებმიან შიგ. მიუხედავად ამისა მიწას მაინც საუკეთესოდ ამუშავებენ. ჩინელი გლეხი დიდიშრომის მოყვარეა. ის მთელ ძალღონეს ალევს თავის პაწია მინდორს, კარგად ანოყიერებს მას, საუკეთესოდ ამუშავებს, დღედაღამე იქ არის და ჩუჩქნის მიწას. ამიტომ ჩინეთის ნოყიერ მიწაზე იქაური გლეხი საუცხოვო ჰირნახულს ღებულობს, მაგრამ მიუხედავად ამისა იქაურ გლეხს მაინც არ ყოფნის მოსავალი ოჯახის გამოსაკვებად, რადგან მეტად მცირე მოცულობით აქვთ მიწები.

### ბრინჯი, პური და სხვა ჭირნახული.

ჩინეთის მოსახლეობა უმთავრესად იკვებება ბრინჯით. დიდი რაოდენობით მოყავთ ის ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში და იქვე იკვებებიან ბრინჯით. ჩრდილოეთ ნაწილში კი უფრო ცივი ჰავის გამო ბრინჯი არ მოდის.

ბრინჯის წლიური მოსავალი ჩინეთში აღწევს ერთ ნახევარ მილიარდ ფუთამდე. ეს რაოდენობა მაინც არ ყოფნის ჩინეთს და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ ბრინჯის საკმაო რაოდენობა. ჩინეთიდან ბრინჯის გატანა აკრძალულია კანონით.

პურის ხორბალიც ბლომად მოდის ჩინეთში, ის მოჰყავთ უმთავრესად ჩრდილოეთ ჩინეთში და მანჟურიაში. ხორბლის წლიური მოსავალი აღემატება ბრინჯისას. კარგ მოსავლიან წლებში ხორბალი გააქვთ ჩინეთიდან სხვა ქვეყნებშიც.

ძლიერ გავრცელებულია ჩინეთში აგრეთვე ერთგვარი მცენარე—გოლოიანი. ამ მცენარის ნაყოფს ჩინელები თვითონაც სჭამენ და საქონელსაც აჭმევენ. მცენარის ღეროებს კი ხმარება სამშენებლო მიზნით.

### აბრეშუმი, ბამბა და ჩაი.

გარდა ხორბლეულობისა ჩინეთის სასოფლო მეურნეობაში დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე ტეხნიკურ მცენარეების—ბამბის, აბრეშუმისა და ჩაის გაშენების საქმეს. ბამბის მოსავლიანობით ჩინეთს მესამე ადგილი უკავია. მიუხედავად ამისა ჩინეთს მაინც არ ყოფნის საკუთარი ბამბა და შემოაქვთ სხვა სახელმწიფოებიდან. აბრეშუმის დამზადების მხრივ ჩინეთს პირველი ადგილი ეკავა ომამდე. უკანასკნელად კი პირველი ადგილი ამ მხრივ იაპონიამ დაიკავა.

ასევე შეიძლება ითქვას ჩაის დამუშავების შესახებ. ჩინეთს პირველი ადგილი ეკავა ჩაის დამზადებაში დიდ ხანს, მაგრამ ამ ჟამად გაასწრეს მას ინდოეთმა და კუნძულ ცეილონმა, სადაც ჩაი მზადდება უფრო მეცნიერული წესით.

# პასუხი სამკორებს

მიხო საწირელს (პოლიტსკოლა) კორესპონდენცია „დ
დის წერილი შვილთან“ არ გამოდგა, მოიწერეთ ნაწილ
ცხოვრებიდან და ხშირად.

მნახველს (მე-6 ლეგ.) კორესპონდენცია „დაბა იყო 2
კომლი და 30 მოურავი“ არ დაიბეჭდება. შეიძლება გამოყ
ნებული იქნეს ადგილობრივ კედლის გაზეთში შესაფერი კ
რიკატურით.

მასრას (მე-2 ლეგიონი) წერილი ახკომკავშირის ჯგუ
მუშაობის შესახებ არ დაიბეჭდება. გაუშვით ადგილობრივ კ
დლის გაზეთებში.

სიყვარულიძეს (მე-5 ლეგ.) თქვენი კორესპონდენც
ძლიერ გაუგებარია. მოიწერეთ უფრო გარკვევით ნაწილ
ცხოვრებაზე. ამ წერილის შესახებ კი მიმართეთ ნაწილ
უფროსს, ის აგიხსნით გეკუთვნით თუ არა შვებულება.

გორდეზიანს და კახიძეს თქვენი წერილები დისც
ლინისა და ცუდი საქციელის ქალების შესახებ გადაეგზა
ნაწილის უფროსებს შესაფერი ზომების მისაღებათ.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

ქართ. სამხ. პოლიტ-სკოლის კომუჯრედში შემოტანილი ა
განცხადებები ამხ. ამხ. ალექსანდრე იასონისძე ჰიპაშვილს და
ვსმენტი სილიბისტროსძე ურუშაძეს, რომლებიც თხოულობენ
ტიის კანდიდატობიდან—კომპარტიის წევრად გადარიცხვას.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს, გთხოვთ გვაცნობ
ერთი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის მდივანი ა. ცხადაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.